

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ა.ა.ი.პ. საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის განცხადების განხილვა;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N10

ქ.ზუგდიდი

6 სექტემბერი 2016 წელი
12:00 სთ-ზე

2016 წლის 6 სექტემბერს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, ზ.ხუბუა, თ. თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, რ.ფიფია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გ.ნაჭყებია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, ლ.თოდუა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ესებუა

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 12 წევრიდან 8 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ა.ა.ი.პ. საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის განცხადების განხილვა;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 24 აგვისტოს N071-ბ16 შემოსულია ა.ა.ი.პ. საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციის წერილი (რეგისტრაციის N736/03), რომელიც შეეხება რეგიონში ცხოველთა პოპულაციური მართვის ჰუმანური მეთოდების დანერგვას, მათ მიერ იგეგმება კინოლოგიური საწვრთნელი ბაზისა და მიუსაფარ ცხოველთა სარეაბილიტაციო ცენტრის/თავშესაფრის მოწყობა ქ.ზუგდიდში ან მის შემოგარენში, რისთვისაც ითხოვენ სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ხელსაყრელი ფართის უზუფრუქტის წესით გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: თ. მარკოზიამ აღნიშნა, რომ მოგეხსენებათ მაწანწალა ძაღლები პრობლემებს უქმიან მოსახლეობას და ჩვენს მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულა არაერთი ცოფის შემთხვევა. თავისთავად საკითხი აქტუალურია, მიზანშეწონილად მიმაჩნია ზემოაღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით მოეწყოს შეხვედრა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან პრობლემის ერთობლივი ძალებით გადასაწყვეტად.

აზრი გამოთქვის: რ. ფიფიამ აღნიშნა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა ქალაქის მერიაში და იქნებ ჩაერთოს მუნიციპალიტეტის მხრიდანაც კომპეტენტური პირები ან/და (შეიქმნას სამუშაო ჯგუფი) ერთობლივად გადაწყვეტოთ საკითხი, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული საკითხი საკმაო ფინანსურ რესურსს მოითხოვს, თუმცა ბ-ნი თემურ ლაჭყვიანი ამ ეტაპზე მხოლოდ ფართის გამოყოფას მოითხოვს.

აზრი გამოთქვის: თ. მარკოზიამ აღნიშნა, რომ რამდენადაც ფართის მოძიება და გამოყოფა ხელეწიფება აღმასრულებელ ორგანოს. გთხოვთ, გადაუგზავნოთ მას აღნიშნული მომართვა და ჩვენ -საკრებულო მზაობას გამოვთქვამთ თუ შეიქმნება ამ საკითხის შესასწავლად სამუშაო ჯგუფი აქტიურად ჩავეერთოთ მის მუშაობაში;

დაადგინეს: მომართვა საკითხის შესწავლისა და განხილვის მიზნით გადაგზავნილ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში;

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია